ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N121

ქალაქი ბათუმი 10 ოქტომბერი 2012 წელი

ერთი მხრივ სსიპ ,,ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი'' (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მმართველის ზაზა ხალვაშის სახით და შპს ,,ბათუმი-ექსპრესი'' (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გელა პატარაიას სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა ჯურნალ-გაზეთების მიწოდება.(CPV 222000000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 550.60 (ხუთასორმოცდაათი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი

საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს 2012 წლის 31 დეკემბრამდე შემსყიდველის მისამართზე.

4. მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან/და შემსყიდველის მიერ ზედნადებზე ხელის მოწერის შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის დროს, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი: შპს ,,ბათუმი-ექსპრესი''

მისამართი: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N90
საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ 245424116
ბანკი: ს.ს. პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი MIBGGE22
საანგარიშსწორებო ანგარიშის N:
N GE18 PC00 3360 0100 0224 62

დირექტორი
გელა პატარაია

შემსყიდველი: სსიპ ,,ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი''

მისამართი: ქ. ბათუმი რუსთაველის ქუჩა N1
საიდენტიფიკაციო კოდი: 245429059
ბანკი: ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: მფო UGEBGE22
საანგარიშსწორებო ანგარიშის:
N GE72 VT55 0000 0003 6834 08

მმართველი
ზაზა ხალვაში

ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა №3
(ივსება მიმწოდებლის მიერ)

№	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგება	6	5,56	33,36	ბათუმი	01.07.12. -31.12.12.
2	გადასახადები	6	6,50	39,00	ბათუმი	01.07.12. -31.12.12.
3	ლიტერატურული პალიტრა	6	2,50	15,00	ბათუმი	01.07.12. -31.12.12.
4	ცხელი შოკოლადი	6	7,50	45,00	ბათუმი	01.07.12. -31.12.12.
5	Искуство кино	6	5,90	35,40	ბათუმი	01.07.12. -31.12.12.
6	Киносценарии	2	51,92	103,84	ბათუმი	01.07.12. -31.12.12.
7	Современная драматургия	6	19,50	117,00	ბათუმი	01.07.12. -31.12.12.
8	Театральная жизнь	6	27,00	162,00	ბათუმი	01.07.12. -31.12.12.
			სულ:	**550,60**		

შენიშვნა ხუთასორმოცდაათი ლარი და 60 თეთრი